

ფლეს ნომერშია

კონკურსების ტესტირების ეტაპი, სავარაუდოდ, 13-14 დეკემბერს გაიმართება 2 გვ.

ჩემი მამული 3-4 გვ.

სად იქნება საქართველოს მომავალი 3 გვ.

ევროკავშირი მხარდაჭერას უცხადებს აბრუსეჭტორში აღწერას 3 გვ.

როგორ მოვუაროთ მცენარეებს შემოდგომაზე 4 გვ.

საკრებულოს წევრები მოსახლეობას სვლიან 4 გვ.

გვაკაბით, ბატონებო, რომ საბჭოთა კავშირში ღვიძივით 5-6 გვ.

როგორ დავარაგოთ სპორტის უფლება საქორწინო ხელშეკრულების საუბრებზე 6 გვ.

ღაგაბოთი ყოველგვარი კალაღობა 6 გვ.

ბანსხაღებები 7-8 გვ.

ამბების აკიდო

ფიქსაცია
მუნიციპალიტეტის განვითარების განყოფილება

სტრატეგიული გეგმა
მომდევნო თვეებში ხარაგაულის მუნიციპალიტეტის სტრატეგიული განვითარების სამსლიანი გეგმა შემუშავდება, - ამ ინფორმაციას ხარაგაულის მუნიციპალიტეტის გამგებლის პირველი მოადგილე **პაატა გოგოლაძე** ავრცელებს. მისი ინფორმაციით, შედგება დოკუმენტი, რომელიც შევა ინფრასტრუქტურული, სოციალური თუ კულტურის მიმართულებით განსახორციელებელი პროექტები. „უნდა განვსაზღვროთ პრიორიტეტები, პროექტების დადებითი და უარყოფითი მხარეები, - ამბობს პაატა გოგოლაძე, - მნიშვნელოვანია იმის დასაბუთება, თუ რამდენ ბენეფიციარს შეეხება პროექტი. რომელი მუნიციპალიტეტის ვერ წარადგენს არგუმენტირებულ გეგმას, შესაძლოა მათთვის განკუთვნილი თანხა უკეთესი პროექტების მქონე მუნიციპალიტეტებზე გადაინაწილდეს. ეს სერიოზული კონკურენციაა.“

პაატა გოგოლაძის ინფორმაციით, სამუშაო ჯგუფის შემადგენლობაში, რომელსაც თავად უხელმძღვანელებს, შევლენ გამგებლის სამსახურებისა და საკრებულოს წარმომადგენლები. „ჩვენი სურვილია, რომ საზოგადოება აქტიურად ჩაერთოს ამ პროცესში,“ - ამბობს პაატა გოგოლაძე.

მუნიციპალიტეტების მიერ შემუშავებულ სამსლიანი სამოქმედო გეგმებსა და პროექტებს წლის ბოლომდე იმერეთის გუბერნატორთან არსებული საკონსულტაციო საბჭო განიხილავს. მოწონებული პროექტები ამის შემდეგ დასამტკიცებლად მთავრობას წარედგინება.

სამხრეთ-აღმოსავლეთი ოქტომბერში 33 020 ლარი არაა გაიყვანა

ხარაგაულის მუნიციპალიტეტის გამგებობიდან მოპოვებული ინფორმაციით, 2014 წლის ივლისში პრემია - 500 ლარი - გამგებობისა და საკრებულოს თანამშრომლებიდან მხოლოდ გამგებლის მძღოლ კონსტანტინე პეტაბაძე გაიყვა. სექტემბერში ხელფასის ოდენი პრემია მიიღო გამგებობის კობა ლურსმანაშვილი - 2 650 ლარი, მისმა მოადგილემ პაატა გოგოლაძემ - 1 300 ლარი, გამგებობის სამსახურების უფროსებმა ვლადიმერ გელაშვილმა, ნანა კიკნაძემ 1 000-1 000 ლარი, გამგებლის წარმომადგენლებმა ადმინისტრაციული ერთეულებში - გელა მალრაძემ, ზვიად არევაძემ, ბადრი ბერაძემ - 900-900 ლარი; გამგებობის სამსახურებში ნანა გიორგაძემ, ნინო მალაქელიძემ, ინგა ჭიპაშვილმა, ინგა ლურსმანაშვილმა და ზურაბ იჩქიტიძემ 810-810 ლარი, ია ტაბატაძემ, ნინო ფერაძემ, სავლე შარიძემ, დარეჯან მერტყეველმა 560-560 ლარი, კონსტანტინე შეტავამ - 500 ლარი.

რაც შეეხება საკრებულოს თანამშრომლებს, სექტემბერში პრემია 1 000 ლარის ოდენობით მიიღო საკრებულოს აპარატის უფროსმა ლენა კალანდაძემ, აპარატის თანამშრომლებმა: მარინე კვინიკაძემ, ზალი ორბელიანმა, ხათუნა გურგენიძემ, ასმათ მალრაძემ, გოჩა მალაფეროძემ - 300-300 ლარი.



შეილახა თუ არა აღსაზრდელთა უფლებები?!

ხარაგაულის მუნიციპალიტეტის ლელვანისა და ვახანის საბავშვო ბაღების აღსაზრდელთა საკრებულოს წევრი, ფრაქცია „ნაციონალური მოძრაობის თავმჯდომარე **თორნიკე ავალიშვილი** ბრალს დებს აღსაზრდელთა მიერ არასათანადო მოპყრობის გამო. კერძოდ, საკრებულოს სხდომაზე დეპუტატმა განაცხადა, რომ „ყუდი მდგომარეობა ვახანისა და ლელვანის საბავშვო ბაღებში აღსაზრდელთა და მოვალეობების კუთხით. შემოძლია დავისაზე კონკრეტული შედეგები, რომლებიც ცუდად ეპყრობიან ბავშვებს.“

ამ ბრალდების გამო ლელვანის საბავშვო ბაღის გამგე **თამარ ტაბატაძე** აღსაზრდელთა მშობლებს შეხვდა და თხოვა, რომ გულწრფელად ეთქვათ, რომელი აღსაზრდელის მიმართ ჰქონდათ პრეტენზია და რა ფაქტის გამო. აღსაზრდელის ბებია **ამალი შარიაძე** აცხადებს, რომ ბაღში მოსვლისთანავე პატარებს აღსაზრდელთა ეგვიპტე, ეთამაშებიან და ამშვიდებენ. „გასაკვირია, ვისცა მოდის პრეტენზია, სოფელში ძლიერ ბაღს მოვსწარმოთ. თუ ვინმე ვინმესთან არის დაპირისპირებული და საბავშვო ბაღს იყენებს, არ ვიცი. რატომ, რისთვის, რომელ

აღსაზრდელს დასწამეს ცილი? მოვითხოვთ, რომ კონკრეტული ფაქტი დასახელდეს,“ - ამბობს ამალი შარიაძე. მშობელი **პაატა ბურჯანაძე** მიიჩნევს, რომ შეიძლება არ დასახელდეს უკმაყოფილო მშობელი, მაგრამ აუცილებელია გაირკვეს, რა ჩართვაა ბავშვის უფლებების შელახვა და აღსაზრდელთა მიერ ცუდ დამოკიდებულებად. **თამარ მაღრაძე** ორი შვილი დაჰყავს საბავშვო ბაღში და ამბობს, რომ აბსოლუტურად მშვიდად მიდის სამსახურში. ის ყველა თანამშრომლის მალღიერია **გვ. 4**

ოქტომბერში პრემიის სახით 1 300-1 300 ლარი მიიღეს გამგებლის მოადგილეებმა თემურ ჩხეიძემ და დავით დედუარიანმა; 1 000-1 000 ლარი - ნანა კიკნაძემ, არჩილ ლურსმანაშვილმა და კახა ვოლუბიანმა, 900-900 ლარი - გამგებლის წარმომადგენლებმა - სპარტაკი ლაყაბიძემ, კობა ყრუაშვილმა, მია გაჩილიაძემ, იური შველიძემ, ამირან კამკაშიძემ, 810-810 ლარი - ზურაბ ბანცაძემ, ალექსანდრე ტაბატაძემ, 560-560 ლარი - ნათელა კაციაძემ, ია ტაბატაძემ, ლია ფეჩიალაძემ, მია გაჩილიაძემ, ლელა შარიძემ, ლელა მაჭავარიანმა.

შვიდ თვეში ბიუჯეტიდან სასაბურთო ბარათებისთვის 8 170 ლარი დაინარჯა

ხარაგაულის მუნიციპალიტეტის გამგებობიდან მოპოვებული ინფორმაციით, ადგილობრივი ბიუჯეტიდან აპრილში სასაბურთო ბარათებისთვის გაცემულია 1 130 ლარი, მაისსა და ივნისში - 1 170-1 170 ლარი, ივლისსა და აგვისტოში - 1 140-1 140 ლარი, ხოლო სექტემბერსა და ოქტომბერში 1 210-1 210 ლარი. ივლისში, აგვისტოში, სექტემბერსა და ოქტომბერში გამგებელმა კობა ლურსმანაშვილმა 150-150 ლარის სა-

საბურთო მიიღო. მისმა მოადგილეებმა პაატა გოგოლაძემ და თემურ ჩხეიძემ - 60-60 ლარის, საკრებულოს თავმჯდომარე ინგა მალრაძემ ივლისში მიიღო 75 ლარის სასაბურთო, აგვისტოში - 150 ლარის, სექტემბერსა და ოქტომბერში 100-100 ლარის. მისმა მოადგილე მანანა ბარბაქაძემ ივლისში 15 ლარის, აგვისტოში 30 ლარის, სექტემბერსა და ოქტომბერში 30-30 ლარის სასაბურთო. გამგებობიდან მიღებულ ინფორმაციაში აღნიშნულია, რომ 10-10 ლარის სასაბურთოს იღებენ ყოველთვიურად ადმინისტრაციული ერთეულებში გამგებლის წარმომადგენლები და განყოფილების გამგეები, 20-20 ლარის სასაბურთოს - სამსახურების უფროსები, 15-15 ლარის სასაბურთოს - გამგებლის პირადი მდივანი და მძღოლი, 40-40 ლარის სასაბურთოს - გამგებლის თანაშემწე, 30-30 ლარის სასაბურთოს სახანძრო-სამაშველო სამსახურის უფროსი.

ბიუჯეტიდან შვიდ თვეში 25 646 ლიტრი ბენზინი და 4 900 ლიტრი დიზელი

შეიძინა
ხარაგაულის მუნიციპალიტეტის ბალანსზე რიცხული საკრებულოს თავმჯდომარის ავტომანქანისთვის WZW-131 აპრილში, მაისში, ივლისსა

და ოქტომბერში 900-900 ლიტრი ბენზინი შეიძინა, ივნისში - 887 ლიტრი, აგვისტოში - 899.01 ლიტრი, სექტემბერში 899.62 ლიტრი ბენზინი. ავტომანქანისთვის LEO-634 აპრილში, ივნისში და ივლისში 200-200 ლიტრი ბენზინი. ავტომანქანისთვის REV-173 აპრილში, ივნისსა და ივლისში 200-200 ლიტრი ბენზინი შეიძინა. გამგებლის ავტომანქანისთვის CJC-311 აპრილში, მაისში, აგვისტოსა და ოქტომბერში შეიძინა 900-900 ლიტრი ბენზინი, ივნისში 899 ლიტრი, ივლისში - 899.98 ლიტრი, სექტემბერში - 899.56 ლიტრი ბენზინი. ავტომანქანისთვის AIA-464 აპრილში, მაისში, ივლისში, ივლისსა და აგვისტოში შეიძინა 400-400 ლიტრი ბენზინი, სექტემბერსა და ოქტომბერში 250-250 ლიტრი ბენზინი. ავტომანქანისთვის WKW-248 400-400 ლიტრი ბენზინი შეიძინა აპრილში, ივნისში, ივლისსა და აგვისტოში, მაისში - 399 ლიტრი, სექტემბერსა და ოქტომბერში - 250-250 ლიტრი ბენზინი. ავტომანქანისთვის LEO-632 400-400 ლიტრი ბენზინი შეიძინა აპრილსა და ივლისში, 320 ლიტრი მაისში, 600 ლიტრი - ივნისში, 410 ლიტრი - **გვ. 2**

ხეში მამული

სად იწადება საქართველოს მომავალი

რა გააძლიერებს ჩვენს ქვეყანას? გაუძლებს კი ჩვენში წარმოებული სოფლის მეურნეობის პროდუქცია ევროკავშირის მოთხოვნებს? ამ კითხვებზე იმედინი პასუხი ვაგიჩნდებათ, როცა **გაგზავნიან** გაიცნობთ, - მშრომელ და საკუთარ საქმეზე უზომოდ შეყვარებულ ადამიანს. მას თავის თავზე მეთად საკუთარ მამაზე სურს საუბარი, რომელიც სასული საუკუნის 70-იანი წლებიდან თითქმის 2000 წლამდე საუკეთესო მევენახე, მესიმინდე და ზოგადად სოფლის მეურნეობის გამოცდილი და ორგანიზებული მუშაკი იყო. მუხლიანურად შრომა - ეს იყო მისთვის ყველა მიღწევისა და წარმატების სათავე. **აპაჩი გომიზას კი გაგზავნიან** ხშირად წერდა იმდროინდელი ადგილობრივი პრესა თუ რესპუბლიკური მასშტაბით გამოშვებული არც თუ ცოტა ურუნალები. ეს იყო ადამიანი, რომელიც თავისი მიღწევებითა და შრომით ყველას აოცებდა. მას არაერთხელ მოუწევია უხვი მოსავალი ეწ. გაპრობინებულ საკოლმეურნეო ფართობზე. განსაკუთრებულად ვაზისა და მისი სიყვარულით გამოირჩეოდა და ისეთი მოსავალი მოჰყავდა ჩვენს პირობებში, რომელიც რესპუბლიკის განთქმული მევენახეობის რაიონებისთვისაც კი რეკორდულად ითვლებოდა. პირადი მეურნეობაც ჩინებულად ჰქონდა აწყობილი. ბარაქთან შემოდგომამდე 2,5-3 ტონა ყურძენს აბარებდა სახელმწიფოს. მისი სიმინდის ყანები ყოველთვის საუკეთესოდ გამოიყურებოდნენ და მოსავალიც ყოველთვის ხარისხიანი და უხვი იყო. ყოველწლიურად ქვეყნის ბელელოში მისი ოჯახიდან 200-300 კგ ხორცი, ყველი, 100 კგ რძე, რამდენიმე ასეული კვერცხი და სოფლის მეურნეობის სხვადასხვა პროდუქტი შდიოდა. იყო განათლებული და ნაკითხი ადამიანი. საოცრად უყვარდა წიგნი. მთელი დღის ნაშრომ-ნაჯაფარი ისე არ დაიძინებდა, რაიმე არ წაეკითხა. გამოწერა ჰქონდა მრავალი ჟურნალ-გაზეთი. განსაკუთრებით სოფლის მეურნეობის თემებზე გამოშვებული პერიოდიკა აინტერესებდა, ეცნობოდა უახლეს მიღწევებს, იზიარებდა მოწინავეთა გამოცდილებას.

„მამა დიდიდან სადამომდე თავდაუზოგავად შრომობდა. მას გვერდით ედგა ოჯახზე უზომოდ

შეყვარებული შვიდი შვილის გამზრდელი დედა. ოთხი წლისა უკვე მამის გვერდით ვიდევქი, მარგვლას და თოხნას ვსწავლობდი. ასევე მამის გვერდით იდგა ჩემი ხუთი ძმა და პატარა დაც კი. სკოლა იყო ადგილი, სადაც ვისვენებდით. დღემდე სიყვარულით მახსენდება კიციხის საშუალო სკოლა-ინტერნატი, ჩემი საყვარელი პედაგოგები და განსაკუთრებით მთავარი აღმზრდელი ენდი ბუაჩიძე.“ - გვიამბობს ბებური. ბებური მაჭავარიანი სკოლაში წარჩინებული მოსწავლე იყო. გამოირჩეოდა ზუსტი მეცნიერებებისადმი განსაკუთრებული სიყვარულით. მონაწილეობდა რაიონულ და ზონალურ ტურებში მათემატიკაში, ფიზიკაში, ქიმიკაში. ყველგან წარმატება იყო მისი მეგზური. 1981-82 წლებში რაიონის ორგზის ჩემპიონი მოსწავლეთა შორის ჯადრაკში. აქტიურად მისდევდა სპორტს. განსაკუთრებით უყვარდა ქართული სიმღერა და ცეკვა. მისი პედაგოგი, რესპუბლიკის დამსახურებული ქორეოგრაფი ლევან ლურსმანაშვილი დიდ შრომას სწევდა ამ უდავოდ ნიჭიერ და მრავალმხრივ მოზარდზე. კიციხის სკოლა-ინტერნატის ქორეოგრაფიულ ჯგუფს იმ წლებში მრავალგზის აქვს დაკავებული პირველი ადგილი რაიონულ თუ ზონალურ ოლიმპიადებზე. 1978 წელს თბილისში, რესპუბლიკურ ოლიმპიადებზე მორე ხარისხის დიპლომებით დაჯილდოვდნენ. სასკოლო და შემოქმედებით წარმატებებს თან ახლდა თავდაუზოგავი შრომა და გარჯა შინ. ეს ყველაფერი აკაკი მაჭავარიანის ოჯახის დაუნერვლი კანონი იყო.

სკოლის დამთავრებისთანავე 1983 წელს ბებური მაჭავარიანი მოსკოვის უმაღლესი საოფიცრო სასწავლებლის სტუდენტი გახდა. მის ცხოვრებაში რადიკალურად შეიცვალა ყოველივე. ენატრებოდა მშობლიური ქვეყანა, თავისი ემოკარი, ადგილები, სადაც შორეული ბავშვობა დარჩა. თანდათან ნოსტალგიამ დარია ხელი... მიატოვა ყველაფერი, დაბრუნდა საქართველოში. ამ საქციელმა მამა ალაპოთა: -რა მიქენი ბიჭო, სად გამოყვო თავი? როგორ მიატოვე სასწავლებელი? რა ვუთხრა ხალხს? მაგრამ ბებურის გადაწყვეტილება უკვე მტკიცედ ჰქონდა მიღებული. იმავე წელს ზესტაფონის სასოფლო-სა-



მეურნეო ტექნიკუმის აგრონომის ფაკულტეტის სტუდენტი გახდა. აღსანიშნავია, რომ ზესტაფონის აღნიშნული სასწავლებელი დიდი ტრადიციების და გამოცდილების სასწავლო დაწესებულება იყო, სადაც გამოცდილი ქართველი სპეციალისტ-პედაგოგები მოღვაწეობდნენ. იგი მრავალი ათწლეულის მანძილზე კომპეტენტური კადრებით ამარაგებდა საქართველოს რეგიონებს.

1984-86 წლებში ბებური მაჭავარიანი საბჭოთა ჯარში მსახურობდა. აქაც გამოჩენილი იყო თავისი საქმიანობით. ცხრა თვეში სპორტის ორგანიზატორი გახდა. მიღებული აქვს ხუთი სიგელი სპორტის სხვადასხვა სახეობაში. ჯადრაკში სამხედრო შენაერთის ჩემპიონია. ასევე გირების ორჭიდში. მასზე წერს იქაური პრესა, მადლობის წერილებს ღებულობს ოჯახი.

სამხედრო სამსახურის დამთავრების შემდეგ დაუბრუნდა ტექნიკუმს, რომელიც 1988 წელს წარჩინებით დაასრულა. შრომისმოყვარეობით, ცოდნის შექმნის განსაკუთრებული მისწრაფებით, ახლის ძიების და ეროვნული ტრადიციების უდიდესი პატივისცემით განსმკვალული ახალგაზრდა სპეციალისტი იქვე დატოვებს სასწავლო-საწარმოო მეურნეობის დირექტორის მოადგილედ. პარალელურად სწავლა გააგრძელა ბიზნესისა და ტექნოლოგიის დამოუკიდებელი ინსტიტუტში ღვინის მრეწველობის ტექნოლოგიის ფაკულტეტზე, რომელიც წარჩინებით დაასრულა.

1999-2004 წლებში იყო საქართველოს მეხადეობა-მევენახეობისა და მეღვინეობის სახელმწიფო სამეცნიერო კვლევითი ინსტიტუტის მძიებელი. აწარმოებდა ხარაგაულის რაიონში გავრცელებულ ნოთელეურძნიან საღვინე ვაზის ჯიშების სამეურნეო-ტექნოლოგიურ შესწავლას ვარდისფერი ღვინოების წარმოებისთვის.

1998 წლიდან ზესტაფონის აგროკოლეჯში დიდი წარმატებით მიჰყავდა რამდენიმე აგროდისციპლინის კურსი. ესენია - მევენახეობა-მეღვინეობა, მემცენარეობა, სასოფლო-სამეურნეო კულტურების მოვლა-მოყვანის ტექნოლოგია,

რელიეცია-მეთესლეობა. სწავლა და ნასწავლის პრაქტიკული განხორციელება, გამუდმებით ზრუნვა საკუთარ ინტელექტზე, ისწავლოს, რათა სხვას ასწავლოს, ამ რეჟიმში ცხოვრობს ორ ათეულ წელზე მეტია ეს ახალგაზრდა ადამიანი.

2003 წლიდან ურთიერთობა ჰქონდა გერმანიის ტექნიკური თანამშრომლობის საზოგადოებასთან, რომელიც საგანმანათლებლო და მატერიალურ დახმარებას უწევდა აგროსასწავლებლებს მოელი რესპუბლიკის მასშტაბით. ამ საზოგადოებასთან გაიარა ტრენინგები სხვადასხვა აგროდისციპლინაში და მიღებული აქვს შესაბამისი სერტიფიკატი.

დაუღალავი შრომისა და სწავლის გარკვეული ეტაპის დაგვირგვინებაა 2006 წელს, სოფლის მეურნეობის სამინისტროში ტრენინგების დამთავრების შემდეგ გამართულ შეკრებაზე ბებური მაჭავარიანის სოფლის მეურნეობის საუკეთესო სპეციალისტად აღიარება. ამ შეკრებაში მონაწილეობდნენ საქართველოს 14 აგროკოლეჯისა და აგროკოლეჯების უნივერსიტეტის პროფესორები და პედაგოგები.

რაოდენ დასანანია, რომ 2009 წელს მოხდა აგროკოლეჯების ლიკვიდაცია და დღეს ამ საფეხურზე აღარ ხდება სოფლის მეურნეობის საქმეების შესწავლა.

ამჟამად ბებური მაჭავარიანი ზესტაფონის საინფორმაციო-საკონსულტაციო ცენტრის ე. წ. ექსტენციის თანამშრომელია. გასული წლის მაისში, როგორც მრავალტრენინგგაგალი სოფლის მეურნეობის საუკეთესო სპეციალისტი, სამინისტრომ გაავაგანა ამერიკის შეერთებული შტატების ოპიოს შტატში ორკვირიან ტრენინგზე სოფლის მეურნეობის ექსტენციური მართვის შესწავლა-გაცნობის მიზნით, საიდანაც კიდევ მეტად ინფორმირებული და ახალი იდეებით დატვირთული დაბრუნდა.

დღეისათვის სოფელ კიციხეში ფლობს ერთ ჰექტარ საკარმიდამო მიწის ნაკვეთს, 0,45 ჰა ვენახის ფართობით, სადაც გაშენებული აქვს სხვადასხვა თეთრი და წითელყურძნიანი საღვინე ვაზის ჯიშები. მიღებული მოსავლიდან ამზადებს მა-

ღალი ხარისხის სუფრის ღვინოებს. მოჰყავს სიმინდი, სოიო, ლობიო, ყაბაყი, კიტრი, პომიდორი... განუყრელად მის გვერდითაა მისი მშვენიერი მეუღლე ილონა პავლაძე და ვაჟი გიორგი. წლეწადღელი ოჯახური ღვინის ფესტივალი, რომელსაც სათავე 2006 წელს დაედო, საუკეთესო იყო საუკეთესოთა შორის, ვინაიდან მრავლად იყო წარმოდგენილი მაღალი ხარისხის ოჯახური ღვინოები. ბებური მაჭავარიანი ორი პირველი ხარისხის დიპლომი და „ხალხის რჩეულის“ საპატიო წოდება მოიპოვა. ფესტივალში მის მარანში დაწურული და მაღალი ტექნოლოგიით დაყენებული ოთხი სახეობის ღვინო დაჭაშნიკდა.

აღსანიშნავია, რომ ფესტივალს ყოველთვის წინ უსწრებს დევუსტაცია, რომელსაც ჩვენი პრექტის უცვლელი თანამონაწილე და მუზეუმის დიდი მეგობარი, ხარაგაულის საპატიო მოქალაქე ბატონი ვალოდა კვლენჯერიძე ხელმძღვანელობს. იგი დაინტერესდა და სპეციალისტობთან ერთად ბ-ნ ამირან ოქრომჭვლიძესთან, გელა შავიძესთან და ნიკოლოზ ფეციალაძესთან ერთად მოინახულა ბებური მაჭავარიანის ვენახების ზვარი. აღფრთოვანებას ვერ მალავდა ეს მრავლისმნახებელი და ამ საქმის უდავოდ დიდი მცოდნე ადამიანი. მისი სიტყვებით რომ ვთქვათ, აღნიშნული მეურნეობა ყველა პარამეტრში ჯდება და მზადაა რეკომენდაცია გაუწიოს ადგილწარმოშობის კონტროლირებადი უმაღლესი კატეგორიის ღვინოების წარმოებაში.

ფუფქრობთ, სად იჭედება საქართველოს მომავალი. საბედნიეროდ აქვე, ჩვენს ზვრებსა და ყანებში. აი, ვინ არის მომავლის და იმედის გმირი. ეს არის ბებური მაჭავარიანი, რომელსაც სჭირდება თანადგომა და ხელშეწყობა, რათა დიდხანს ჰქონდეს თავისი მაღლიანი მარჯვენის რწმენა.

აკა შპშილიძე

ევროკავშირი მხარდაჭერას უცხადებს აგროსექტორში აღწერას

52 მილიონი ევროს ბიუჯეტის მქონე ევროპის სამეზობლო პროგრამა აგრო-წარმოებისა და სოფლის განვითარებისთვის (ENPARD), მნიშვნელოვნად ეხმარება საქართველოში აგრო-სტატისტიკის გაუმჯობესების პროცესს, რომელიც მოსახლეობის აღწერის პარალელურად 5-19 ნოემბერს ტარდება.

აგრო-სექტორის აღწერის მიზანი ამ სფეროს ძირითადი მონაცემებით უზრუნველყოფაა, როგორც არის აგრო-გაერ-

თიანებების მოცულობა, მიწის გამოყენების მაჩვენებელი, მიწის ხარისხი და ა.შ., ის ქვეყნის აგრო-სტატისტიკური სისტემის უმთავრესი შემადგენელია. თუ საქართველოს მთავრობა აგრო სექტორის აღწერაში წარმატებულ შედეგებს აჩვენებს, ევროკავშირი ბიუჯეტს დამატებით 1 მილიონ ევროს გამოუყოფს.

აღსანიშნავია რომ ENPARD ტექნიკური მხარდაჭერის კუთხით, FAO-სთან თანამშრომლობით ეხმარება ჯეოსტატს.

ფოტოზე: ბებური მაჭავარიანი (მარჯვნიდან პირველი) ხარაგაულის ისტორიულ მუზეუმში გამართულ ღვინის ფესტივალზე

რატომ მომწონს სკოლა



ანამარია კურბანიამ: -ახლა ჩემი და, ნინო, მიკითხავს ზღაპრებს. სკოლა იმიტომ მომწონს, რომ კითხვას ვისწავლი და მეც წავიკითხავ ზღაპრებს. ზოგ ასოებს უკვე ვცნობ.



არჩილ მიხაილავი: -სკოლაში კარგი ამხანაგები მყავს და ყოველთვის მიხარია მოსვლა. მინდა, ბევრი ვისწავლო და კარგი ადამიანი გამოვიდე.



ლანა ხარაგა: -სკოლა იმიტომ მომწონს, რომ კითხვას ვისწავლი და ჩემ საყვარელ „ნითელქუდას“ თვითონ წავიკითხავ.



ლიზი კვიდინაძე: -წერა-კითხვას რომ გვასწავლიან, სკოლაში სიარული იმიტომ მომწონს. მალე ზემსაც გავმართავთ. საღამოს ადრინად ვიძინებ, რომ სკოლაში არ დამავიანდეს.



ლიზი მაღრაძე: -სკოლაში გვასწავლიან ქართულს, მათემატიკას, ინგლისურს. სკოლა ძალიან მომწონს, რადგან კარგად რომ ვისწავლი, კარგი საშახური მექნება.



მარიამ აბჯალაშვილი: -ლამარა მასწავლებელი ყველაზე კარგია. სკოლაში მოსვლა მიხარია, რადგან ჩვენი მასწავლებელი კარგად გვასწავლის.




მარიამ გურბანიამ: -ბევრი უნდა ვისწავლო. მათემატიკა უფრო მომწონს. საბავშვო ბაღში გვაძინებდნენ და ამიტომ სკოლა ჯობია.



ოლიგო ბარბაძე: -მომწონს ჩვენი ლამარა მასწავლებელი, რადგან კარგად გვამეცადინებს. ვიცი, რომ სკოლაში ძალიან კარგად უნდა ვისწავლო.



მითი მახვაძე: -ლექსები და სიმღერები მიყვარს. მასწავლებელი ლექსებს გვიკითხავს და გვამღერებს. თან მალე კითხვა უნდა ვისწავლო.



საბა კაკულია: -ყველაზე მეტად სკოლაში ხელოვნებისა და სპორტის გაკვეთილები მომწონს. ბევრს ვმეცადინებოთ დედაენასა და მათემატიკას.

უდიდესი სიყვარულითა და საუკეთესო სურვილებით ვულოცავთ **ინგა მაღრაძეს** და **მინიელა ჭიკაბაძეს** და **მინიელა ჭიკაბაძეს** გაბედნიერებას. ვუსურვებთ სიყვარულით, სიხარულით, ჯანმრთელობით ყოფილიყოს მათი ოჯახი სასუქ. უფალმა არ მოაკლოს წყალობა და შვილთა სიმრავლე.

პაატა და მია მაღრაძეები
ოჯახები

ვულოცავთ დაქორწინებას **ინგა მაღრაძეს** და **მინიელა ჭიკაბაძეს**. ვუსურვებთ ახალდაქორწინებულ წყვილს ბედნიერებას, სიყვარულს, სიხარულს, შვილთა სიმრავლეს. დეთის წყალობა და მფარველობა არ მოჰკლებოდეს მათ ახლადშექმნილ ოჯახს.

სალხაძის ტერიტორიული ერთეულის ადმინისტრაციის, აპკულატორიისა და პიპლოტივის თანაფრომლები

ვულოცავთ **ინგა მაღრაძეს** და **მინიელა ჭიკაბაძეს** ქორწინებას. ვუსურვებთ ბედნიერებას, უღვე სიყვარულსა და სიხარულს, შვილთა სიმრავლეს და უფლის მფარველობას თავის ლამაზ ოჯახთან ერთად.

იპ. აბაშიძის სახელობის ხარაგაულის კულტურის ცენტრის თანაფრომლები
და ო. აბაშიძის სახელობის ხარაგაულის სახალხო თეატრის დასი

ბაზალეთის საჯარო სკოლის ყოფილ მოსწავლეებს: **ზურა გლეზაძეს, ნინა ჭიკაბაძეს, დავით ნიქაბაძეს, ნინო ჭიკაბაძეს, მარიამ მაჭაძეს, სოფო თხაშელაძეს** ვულოცავთ სტუდენტობას. ბედნიერი და წარმატებული ყოფილიყოს მათი გზა.

გაწაღების საჯარო სკოლის კოლეგები

ვულოცავთ **ინგა გლეზაძეს** შეილიშვილის შექმნას. ვუსურვებთ პატარა **მინიელა გლეზაძეს** ჯანმრთელობას, უღვე სიხარულს, ბედნიერ ბავშვობას და ლამაზ მომავალს.

ნადაშვილის საჯარო სკოლის კოლეგები და ტექნიკოსები

ვულოცავთ სს „იმერის“ დირექტორს ბატონ **ვალერი კალაშნიკოვს** და **კოლეგებს** საპატიო ხარაგაულის ნოდების მინიჭებას. ვუსურვებთ ჯანმრთელობას, დიდხანს სიცოცხლეს, სიხარულს. დიდხანს ეღვაწოს ხარაგაულებთან სასიკეთოდ.

კატივისცემით სს „იმერის“ თანაფრომლები

ვულოცავთ უბისის საიმედო და კეთილშობილ ოჯახს - **მალხაზ და ლელა სახვაძეებს** შვილის - **სატიან სახვაძის** გაბედნიერებას. ვუსურვებთ **სატიან სახვაძეს** და **პაპი მოწონელიძეს** საუკეთესო ქართული ოჯახის შექმნას, შვილთა სიმრავლეს და უფლის მფარველობას.

უბისის საჯარო სკოლის დირექტორს და კოლეგებს

ვყიდი მეგრული ჯიშის თხილის ნერგს. 1 ცალის ღირებულებაა 50 თეთრი.
ტელ: 555 12 14 48 ოთარი.

კომპიუტერული მომსახურება - ვინდოუსის ჩანერა, საოფისე პროგრამები.
ტელ: 557 76 45 82 დათო.
მის: ვალაქტიონის ქ. №4

სასწრაფოდ იყიდება კერძო სახლი დაბა ხარაგაულში კვინაძის ქ. №4, ეზოთი და მიწის ნაკვეთით. ფასი შეთანხმებით. მსურველებმა დარეკეთ: 0 433 22 18 58; 593 57 53 10 (გია, ქეთინო).

უფასო განცხადების ქვითარი №43

მადლობა ყურადღებისათვის

მინდა დიდი მადლობა გადავუხადო მარელისის საჯარო სკოლის დირექტორს ვერა ოდიკაძესა და მთელ კოლექტივს ლამაზი ღონისძიებისა და ყურადღებისათვის.

იანაზ მაღრაძე

აშინდი

დ. ხარაგაული	პიცი
14.11 - ცვალებადი მოდრულულობა უნაღვეოდ, დღე +18°C, ღამე +10°C;	14.11 - ცვალებადი მოდრულულობა უნაღვეოდ, დღე +17°C, ღამე +9°C;
15.11 - ცვალებადი მოდრულულობა უნაღვეოდ, დღე +19°C, ღამე +12°C;	15.11 - ცვალებადი მოდრულულობა უნაღვეოდ, დღე +17°C, ღამე +10°C;
16.11 - მოდრულულობა უნაღვეოდ, დღე +18°C, ღამე +12°C;	16.11 - მოდრულულობა უნაღვეოდ, დღე +17°C, ღამე +10°C;
17.11 - ცვალებადი მოდრულულობა ნალექით, დღე +15°C, ღამე +10°C;	17.11 - ცვალებადი მოდრულულობა ნალექით, დღე +14°C, ღამე +9°C;
18.11 - ცვალებადი მოდრულულობა უნაღვეოდ, დღე +14°C, ღამე +8°C;	18.11 - ცვალებადი მოდრულულობა უნაღვეოდ, დღე +12°C, ღამე +7°C;
19.11 - ცვალებადი მოდრულულობა უნაღვეოდ, დღე +14°C, ღამე +9°C.	19.11 - ცვალებადი მოდრულულობა უნაღვეოდ, დღე +11°C, ღამე +7°C.

პოლიტი
14.11 - ცვალებადი მოდრულულობა უნაღვეოდ, დღე +13°C, ღამე +5°C;
15.11 - ცვალებადი მოდრულულობა უნაღვეოდ, დღე +14°C, ღამე +6°C;
16.11 - მოდრულულობა უნაღვეოდ, დღე +14°C, ღამე +6°C;
17.11 - ცვალებადი მოდრულულობა უნაღვეოდ, დღე +12°C, ღამე +5°C;
18.11 - შიანი დარი, დღე +10°C, ღამე +3°C;
19.11 - შიანი დარი, დღე +10°C, ღამე +3°C.